პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 95 (4605)

1972 წ. 17 მაისი, ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# 2:0

გუშინწინ რიგის ოფიცერთა სახლის „ოქროს დარბაზში" შედგა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობაზე ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირის მატჩის მეორე პარტია.

პრეტენდენტი ამჯერად თეთრებით თამაშობდა. მეტოქეებმა გრიუნფელდის დაცვა გაითამაშეს. უკვე მე-10 სვლაზე მსოფლიო ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა გაკვალულ გზებს ვეერდი აუქცია და თამაში გაამძაფრა. 4 სვლის შემდეგ, ისევე როგორც წინა პარტიაში, ნონამ პაიკი შესწირა. კუშნირმა უკან არ დაიხია და შემოთავაზებული პაიკი აიღო. გაფრინდაშვილმა გარკვეული უპირატესობა მიიღო და დაიწყო აქტიური ოპერაციები ლაზიერის ფრთაზე. რამდენიმე მსუბუქი ფიგურის გაცვლის შემდეგ გაფრინდაშვილმა მეტოქეს კვლავ და პაიკი შესთავაზა. ძნელია ითქვას როგორ გაგრძელდებოდა პარტია, 28-ე სვლაზე კუშნირს სერიოზული შეცდომა რომ არ მოსვლოდა. ამას მისი უზუსტო თამაშიც დაემატა. გაფრინდაშვილმა ეს კარგად გამოიყენა და ლაზიერითა და ეტლით მეტოქის განლაგებაში შეიჭრა.

ფინალი მეტად დრამატული გამოდგა: დაახლოებით თანაბარ პოზიციაში 38-ე სვლაზე კუშნირი უხეშად შეცდა და შამათი მიიღო.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 2:0 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.



# მიღწეული მიზანი

### დიტო შანიძე — ევროპის ჩემპიონი

ძალოსნობის ქართველი მოყვარულები დიდხანს იყვნენ ამ სასიხარულო ცნობის მოლოდინში: ოთხჯერ სცადა ბედი თბილისელმა დიტო შანიძემ ევროპის ჩემპიონატებში და ვერც ერთხელ ვერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. და აი, რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში ბოლოს და ბოლოს მოხდა ის, რაც ადრეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ხან ობიექტური, ხან კი სუბიექტური მიზეზების გამო ვერა და ვერ ასრულდა. რაც ყველაზე მეტად სასიხარულოა, გუშინწინ შანიძემ სამჭიდში 395 კგ-ის დაგროვებით ევროპის ჩემპიონობასთან ერთად მსოფლიო რეკორდი დაიბრუნა აკვრაში — 156 კგ აწევა.

ქვემსუბუქ წონაში II ადგილზე გავიდა ბულგარელი ნ. ნურიკიანი (387,5 კგ), III — ევროპის არაერთგზის ჩემპიონი, პოლონელი მ. ნოვაკი (375).

წლევანდელი წელი შანიძისთვის ერთობ ბარაქიანი გამოდგა: სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მეოთხედ, რაც უმთავრესია, მსოფლიო რეკორდი სამჭიდში, თანაც პირველად ძალოსნობის ისტორიაში 400 კილოგრამზე მეტი შედეგით; და ბოლოს, კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედალი. წინ მიუნხენის ოლიმპიური თამაშებია. გვინდა ვირწმუნოთ, რომ შანიძე იქაც პირველი იქნება და თავის მდიდარ ნადავლს ოლიმპიურ ოქროს მედალსაც დაუმატებს.

* * *

სურათზე: დ. შანიძე.

ბ. ქვათაძის ფოტო.

# უქაჩ დარჩა 10 ეტაპი



როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, მშვიდობის XXV ველორბოლის IX ეტაპი (ლიტომიშლი — გოტვალდოვი, 165 კმ) პოლონელმა კშეშოვეცმა მოიგო. გარეგნულად ამ ეტაპმა საკმაოდ მშვიდად ჩაიარა, თუმცა ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მრბოლელთა ცალკეულ „გამოხდომებს" საბჭოთა ველოსიპედისტები უმალვე უპასუხებდნენ — ეს გუნდები პირდაპირ ჩაუსაფრდნენ ერთმანეთს. ასევე ფხიზლად სდარაჯობდნენ ურთიერთს პირადი ჩათვლის ლიდერებიც და, როცა მე-100 კილომეტრზე წინ კშეშოვეცი და ბელგიელი დოქსი გაიჭრნენ, მათ არავინ მიაქცია ყურადღება: ამ ორ მრბოლელს ხომ ცხრილის სადღაც შუაგულში ეჭირა ადგილი. კშეშოვეცის წარმატებამ მხოლოდ ცოტათი გამოასწორა მისი გუნდის მდგომარეობა, დოქსი კი მხოლოდ საკუთარი თავისთვის ირჯებოდა, ვინაიდან ბელგიელები ორნი დარჩნენ და, ცხადია, გუნდური პირველობისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ.

ასეა თუ ისე, IX ეტაპზე რბოლის ლიდერები „მშვიდობიანად გაშველდნენ", თუმცა მორავეცმა (ჩეხოსლოვაკია) პირველ საშუალედო ფინიშზე გამარჯვებით 5 პრემიალური წამი მიიღო და „პირდაპირ მიადგა" ლენინგრადელ ნელიუბინს, თანაც, ყველაზე აქტიური მრბოლელის იისფერი მაისური ჩამოართვა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელ გორელოვს.

გუნდურ ჩათვლაში კვლავ სსრ კავშირის ნაკრები ლიდერობს, რომელსაც წუთითა და 28 წამით ჩამორჩება ჩეხოსლოვაკიის კოლექტივი, ხოლო 2 წუთითა და 16 წამით — გდრ-ის გუნდი.

პირად ჩათვლაში ლიდერია ნელიუბინი, მაგრამ მას მორავეცი ახლა მხოლოდ ერთი წამით ჩამორჩება.

და აი, 15 მაისს გამართული X ეტაპის (გოტვალდოვი — ტრშინეცი, 163 კმ) შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო მორავეცმა, რომელიც მესამე იყო ფინიშთან. 10 ეტაპის ჯამში მისი დროა 32:26.30. ნელიუბინი მასთან 5 წამს აგებს. III ადგილზეა კიუნი (გდრ) — 32:27.05.

ტრშინეცის სტადიონზე გამართულ ფინიშთან ყველაზე სწრაფად მიიჭრა მშვიდობის ველორბოლებში ორგზის გამარჯვებული შურკოვსკი (პოლონეთი) — 3:52.29 (ბონიფიკაციის ჩათვლით). მეორე იყო მილდე (გდრ).

ეს ეტაპი უკანასკნელი იყო ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე და მის ფინიშთან რბოლას შერჩენილი ყველა 64 მრბოლელი მივიდა.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერთა ცისფერ მაისურებს საბჭოთა ველოსიპედისტები ინარჩუნებენ — 97:20.08. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები მათ 2 წუთითა და 15 წამით ჩამორჩებიან, III ადგილზე მყოფი გდრ-ის მრბოლელები კი 2 წუთითა და 51 წამით.

10 ეტაპის შემდეგ ყველაზე აქტიური მრბოლელის იისფერ მაისურს მორავეცი ინარჩუნებს, ხოლო საუკეთესო სამთო მრბოლელის მწვანე მაისურს — შურკოვსკი.

16 მაისს მოასპარეზეებს დასვენების დღე ჰქონდათ ტრშინეცში, მერე კი პოლონეთისკენ უდევთ გზა. XI ეტაპის 26-ე კილომეტრზე ისინი სახელმწიფო საზღვარს გადაკვეთენ და კრაკოვში ჩავლენ.

* * *

სურათზე: რბოლის ეტაპზე. მარცხნიდან — მორავეცი (ჩეხოსლოვაკია), ცორელოვი, გუსიატნიკოვი (ორივე — სსრ კავშირი), კიუნი (გდრ) და ბალკადი (მაროკო).

ჩტკ — საქდესის ტელეფოტო.

● პადუა, 15 მაისი. იტალიის ამ ქალაქში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში „ლუკსარდოს თასზე" შესანიშნავ წარმატებას მიაღწია 28 წლის მინსკელმა ესპადრონისტმა ვ. სიდიაკმა. მან მესამედ გაიმარჯვა ამ შეჯიბრებაში და სამუდამოდ დაეპატრონა „ლუკსარდოს თასს". ტურნირში 8 ქვეყნის 75 მოფარიკავე მონაწილეობდა.

● ტუაფსე, 15 მაისი. საზღვაო რეიდი დღეს 23-ე შავი ზღვის რეგატის მონაწილეთა იახტებმა დატოვა. შეჯიბრება, რომელშიც აფროსნობის 300-ზე მეტი ოსტატი ოლიმპიურ კლასებში ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას, საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. აი, გამარჯვებული ეკიპაჟების მეთაურებიც: „ვარსკვლავი" — ვ. ვასილიევი (ოდესა), „ტემპესტი" — ნ. იუშკოვი, „მფრინავი ჰოლანდიელი" — ვ. ლეონტიევი (ორივე — მოსკოვი), „ურჩხული" — ი. ანისიმოვი (არხანგელსკი), „სოლინგი" — ტ. პინეგინი (მოსკოვი), „ფინი" — ვ. პოტაპოვი (მოსკოვის ოლქი), „კატამარანი" — ი. ჩაბანი (გორკი). ეს რეგატა საბჭოთა აფროსნების კიდევ ერთი ეტაპი იყო კილში ოლიმპიური რბოლებისთვის მოსამზადებლად.

# უცნაურობა ერთი, მეორე...

უცნაურობანი ხდებოდა და ხდება. მკითხველთა სამსჯავროზე „ლელოს" არა ერთი საოცარი ამბავი გამოუტანია. მერე თითქოს იკლო სენსაციებმა, იკლო თუმცა... უცნაურობანი ხდებოდა და... მოხდა. მოხდა მაშინ, როცა არავინ ელოდა. ალბათ მეხივით ამიტომაც დაიქუხა ამ ამბავმა და ახლა უფრო ყური მოგვჭრა.

**ზოგიერთს დღემდე ვერ შეუგნია სპორტული ბაზის მნიშვნელობა. და აი, ცხინვალშიც გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც მთელს სამხრეთ ოსეთში ერთადერთ ჩოგბურთის კორტს ბარი დაჰკრეს და ზედ ბიბლიოთეკის მშენებლობა დაიწყეს.**

კულტურის, ადამიანის სულიერი აღზრდის კერების მშენებლობა ჩვენც სხვაზე ნაკლებ როდი გვახარებს, მაგრამ ფიზიკურმა აღზრდამ რაღა დააშავა?

დაგვამშვიდეს, საგანგაშო არაფერია, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შედგენილია, სამაგიეროდ ბაზა აშენდებაო (როდის?). განა არ სჯობდა ჯერ დანაპირები შეესრულებინათ? მაგრამ ეს ვთქვით თუ არა, უმალვე თბილისში, ხანაპიროზე საცურაო აუზის დანგრევის ანალოგიური მაგალითი მოგვიყვანეს, აქაოდა, ცხინვალელების რაღა გიკვირთო.

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

დახედეთ ამ სურათებს. პირველზე უკვე გაუქმებულ ჩოგბურთის კორტზე ბიბლიოთეკის მშენებლობის ეპიზოდია ასახული.

მეორე კი... ესეც მორიგი უცნაურობაა. თავის დროზე ამ შენობას სპორტული დარბაზი ერქვა, საწვრთნელი ვარჯიშები და შეჯიბრებები ტარდებოდა. იგი დღესაც განთიადელ სპორტსმენებს უნდა ემსახურებოდეს და შესასვლელთანაც შესაბამისი აბრა უნდა იყოს გამოკრული. მაგრამ დიდი ხანია დარბაზის გასაღები სხვის ხელში ტრიალებს, ფანჯრებიც საგულდაგულოდაა შიგნიდან ამოჭედილი.

ერთი სიტყვით, ცხინვალის სამშენებლო სამმართველოს ავლადიდება — სამშენებლო მასალა საიმედოდაა დაცული.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ცხინვალი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი ძმები სპორტსმენები

### ცურვის სიყვარული „მშრალ“ ქალაქში

ლვოვის ოლქის სოფელ სტრეტინის ყველა მოსწავლემ ცურვა იცის, ბევრმა ბრასისა და კროლის საიდუმლოც შეისწავლა. თქვენ წარმოიდგინეთ, ირგვლივ არც ერთი ტბა და მდინარე არ არის. როგორღა მოახერხეს ცურვის სწავლა?

— ჩვენ საკუთარი დახურული საცურაო აუზი გვაქვს, — ამბობს რვაწლიანი სკოლის დირექტორი ა. სუხორუკი და სკოლის მახლობლად მდგარ შენობაზე მიგვითითებს.

ამ აუზის შექმნის თაოსანი თავად სკოლის დირექტორი იყო. თანამოაზრეც ბევრი გაუჩნდა. მათგან მთავარი საბჭოთა კავშირის გმირ ნ. კუზნეცოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობაა. კოლმეურნეობას ყოველწლიურად დიდი შემოსავალი აქვს და მიღებულ სახსრებს მშენებლობას ახმარდა. მშენებლობაზე თავისუფალ დროს ყველა ერთად მუშაობდა — მშრომელებიცა და უფროსკლასელებიც.

სტრეტინელები ამაყობენ თავიანთი აუზით. აქ ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვითაა გაკეთებული — მოხერხებული გასახდელებიც, საშხაპეებიც, წყლის გათბობაც.

„მშრალმა“ ქალაქმა ლვოვმა, სადაც ახლა ოთხი დახურული და ორი ღია აუზია, რესპუბლიკისა და ქვეყნის ნაკრებ გუნდებს ბევრი ნიჭიერი მოცურავე აღუზარდა. ვინ იცის, შეიძლება მალე სახელგანთქმულ სპორტსმენთა თაობას სოფლად აღზრდილი ახალგაზრდობაც შეუერთდეს.

კ. მელიაევი.

ლვოვი.

### ფეხბურთელთა გუნდი ყოველ ქუჩაზე

სოფლის ფართო შარაგზებით ნორჩი ფეხბურთელები სტადიონისკენ მიიჩქაროდნენ, საწვრთნელ მინდორზე უკვე გაზაფხულის ლორთქო ბალახი ბიბინებდა.

— გაზაფხულიც გვესტუმრა, — თქვა სოფლსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. ბუიუკლიმ. — კეთილი იყოს მისი ფეხი!

მერე თავმჯდომარემ ღიმილით დასძინა:

— ოლქში ამბობენ, ჩვენს სოფელში ყველა კაცი — შვიდი წლიდან საპენსიო ასაკამდე — ფეხბურთელიაო.

სხვათა შორის, ამ სიტყვების სისწორეში მალე ჩვენც დავრწმუნდით.

— ოფიციალურად ბიჭების, ჭაბუკებისა და უფროსების თექვსმეტი გუნდი გვყავს აღნუსხული. ახლა ისე რამდენია გატაცებული ფეხბურთით, ამას ვინ მოთვლის, — ამბობს საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, კოლმეურნეობის მექანიკოსი ვ. ზლატოვი.

ყოველ გუნდს თავისი სახელი და სპორტული ფორმა აქვს: „ურაგანი“ „სპარტაკი“, „ორიოლი“, „ჩერნომორეცი“, „ჩაიკა“, „შტურმი“, „ბალკანი“. ნორჩ ფეხბურთელებს თავიანთი ბავშვების სამსაჯო კოლეგია და სპორტულ-ტექნიკური კომისია ჰყავთ.

ქუჩის გუნდში ჩარიცხვისთვის აუცილებელია კლასის ხელმძღვანელის რეკომენდაცია და ჯანმრთელობის ცნობა. უხეშობისა და უდისციპლინობისთვის სპორტულ-ტექნიკური კომისია მოთამაშეს გუნდიდან რიცხავს.

ფეხბურთი ბავშვებს შრომასაც აყვარებს. საზაფხულო არდადეგების პერიოდში ყველა გუნდი საკუთარ საწარმოო რგოლს ქმნის. ბიჭები გულმოდგინედ შრომობენ ვენახებში, ბაღებში, აღებული ფულით კი სპორტულ ინვენტარს ყიდულობენ. ტყავის ბურთი პატარა ფეხბურთელებს არც ამ დროს ავიწყდებათ.

ც. მერკოვიჩი.

სარატა,
ოდესის ოლქი.

### ბილიკები გვიხმობენ

ბევრმა როდი იცის, რომ მურმანსკის ოლქში 330 ათასი ტბაა. თვალს ხიბლავს ულამაზესი ჩანჩქერები, უკვე ივლისის თვიდან დათოვლილი გორები, უსწრაფესი მდინარეები, თვალუწვდენელი ტუნდრა... და ეს ყველაფერი კოლის ნახევარკუნძულზეა, რომელიც ბოლო წლებში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ტურისტულ სამყაროში. შარშან იმიერპოლარეთში ასი ათასზე მეტმა კაცმა გაატარა შვებულების დღეები.

კოლის ნახევარკუნძულზე ახალი საკავშირო მარშრუტები გაიხსნა: სპეციალიზებული სამთოსათხილამურო გზები, წყლის ბილიკები იმანდრის ტბაზე, მარშრუტები მთის ჩანჩქერებზე, ტუნდრაში. თებერვალში ოცდაათმა ლენინგრადელმა პირველად გადალახა მსოფლიოში ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე 100-კილომეტრიანი სათხილამურო ტრასა. ამ დღეებში მონჩეგორსკში მწყობრში ჩადგა ჩრდილოეთში ყველაზე დიდი ტურისტული სასტუმრო „ლაფლანდია“ კომფორტაბელური ნომრებით, ფართოეკრანიანი კინოთეატრით, რესტორნით... სიმბოლურია, რომ ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ტურისტული ბაზების მქონე საწარმოების ხელმძღვანელები, ტურისტთა საქალაქო და რაიონული კლუბების თავმჯდომარეები ესწრებოდნენ, სწორედ „ლაფლანდიაში“ მოეწყო.

— გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საშუალებას გვაძლევს კოლის ნახევარკუნძულზე ათი ათასობით მოგზაური მივიღოთ, — თქვა მომხსენებელმა, პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ გ. გრიშჩენკომ. — გაისიდან მწყობრში ჩადგება 275-ადგილიანი ტურისტული კომპლექსი მურმანსკსა და კიროვსკში. გავიყვანთ საბაგირო გზებს მონჩეგორსკში, კიროვსკსა და მურმანსკში, რაც კოლის მხარეს სამთოსათხილამურო სპორტისა და ტურიზმის ერთ-ერთ ცენტრად აქცევს. მალე უიუტის ხეობაში, მურმანსკის მახლობლად, სადაც ტრადიციულად ტარდება „ჩრდილოეთის დღესასწაულები“, სასტუმრო აიგება. დაგეგმილია ტურისტული კომპლექსის მშენებლობა ძველ კანდალაქშში — 270 ადგილით, კემპინგისა და ტურბაზების აგება სოფელ ლოვოზეროსა და დაბა უმბაში.

ზღვაზე მოგზაურობის მოყვარულებისთვის ამ ზაფხულს ეწყობა არქტიკული კრუიზი კომფორტაბელური თბომავლით „ვაცლავ ვოროვსკი“. მარშრუტი ასეთი იქნება: მურმანსკი—ფრანც-იოსების მიწა — დუდინკა — ნორილსკი,— დიქსონი — არხანგელსკი—მურმანსკი. შეიძლება მოეწყოს მოგზაურობა კოლის ნახევარკუნძულის გარშემო. ტურისტები ნახავენ თეთრი ზღვის ცნობილ შვიდ კუნძულს.

ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ კოლის ნახევარკუნძული ჭეშმარიტად ტურისტულ მხარედ იქცეს.

ვ. ზასუხინი.

მურმანსკი.

### სპორტული კარდიოგრაფი

ტაშკენტის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში შექმნეს ორიგინალური ხელსაწყო, რომელიც უდიდესი სიზუსტით აღნუსხავს სპორტსმენის გულის მუშაობას ყოველგვარ პირობებში. ასეთი კარდიოგრაფით სპორტსმენს შეუძლია ირბინოს, ხტომაში ივარჯიშოს, ჰოკეი და ფეხბურთი ითამაშოს, ველოსიპედით იაროს... ხელსაწყოს მუშაობის სიზუსტეზე არავითარი დატვირთვა და „ნჯღრევა“ არ მოქმედებს.

ხელსაწყო კომპლექსურია. ნახევარგამტარიანი გადამცემი, მიმღები და მაგნიტოფონი ერთ პატარა კორპუსშია მოთავსებული. სპორტსმენი ზურგზე იკეთებს მას მინიატურულ აკუმულატორთან ერთად. საკმარისია ხელსაწყო კანს შეეხოს გულის არეში, რომ შესაბამისი სიგნალი მყისვე მაგნიტურ ლენტს გადაეცემა.

ეს სიახლე უზბეკეთის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაკვეთითაა შექმნილი. მან წარმატებით ჩაიარა გამოცდა და ამიერიდან დიდ დახმარებას გაუწევს სპორტული კარდიოლოგიის სპეციალისტებს.

ი. იუდინი.

ტაშკენტი.

## მოგზაურობა

მთიანი ალტაი. გაზაფხული დადგა და მთის მდინარე კატუნის ნაპირები ისევ გამოცოცხლდა. სულ ცოტა ხნის წინ უკაცრიელი ადგილები ტურისტთა ფერად-ფერადი კარვებით დაიფარა.

ე. ლოგვინოვის ფოტო.



## კომისიამ იმსჯელა

ამას წინათ გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილის უ. ობოლაძის მოხსენება XXIV რესპუბლიკური და XII საკავშირო სპარტაკიადებისთვის რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მზადების შესახებ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები ი. ყიფიანი, გ. კავთიაშვილი, მ. გვიშიანი, ზ. მანთაშაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. სანაძე, „ცეკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ტ. ჩაჩანიძე, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სამრეწველო საქონლით ვაჭრობის სამმართველოს უფროსი ა. მათიაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე ო. ევაძე და სხვ.

სხდომაზე ითქვა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ საგრძნობლად გააუმჯობესა რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებისადმი დახმარება და კონტროლი კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაში. ყოველ კვარტალში იწვევენ და კოლეგიის სხდომებზე განიხილავენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხებს. წინა წლებთან შედარებით უფრო ხშირად ტარდება შიდასასკოლო, რაიონული, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური შეჯიბრებები, მოსწავლეთა ნაკრები კოლექტივების სამატჩო შეხვედრები სხვა რესპუბლიკების გუნდებთან.

წლევანდელი ბიუჯეტით, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს გაუდიდდათ სპორტული ღონისძიებების ჩასატარებელი ხარჯები. თბილისის განათლების განყოფილებასთან გაიხსნა აკრობატიკის, მხატვრული ტანვარჯიშისა და ფარიკაობის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლები, სოხუმში — მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლა. სექტემბრიდან ქუთაისში გაიხსნება ცურვის სპეციალიზებული, დმანისის, ჯავისა და ხულოს რაიონებში კი კომპლექსური სპორტული სკოლები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ნაკრები გუნდების შემადგენლობა და სპორტული მომზადება ფრენბურთში, კალათბურთში, სპორტულ ტანვარჯიშში (გოგონები), ფეხბურთსა და მხატვრულ ტანვარჯიშში. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიების გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა ნაკრები გუნდების მწვრთნელები. რესპუბლიკის სპორტული ბაზები საწვრთნელი ვარჯიშებისთვის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების განკარგულებაშია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიაზე მიღწევებთან ერთად ილაპარაკეს იმ ნაკლზეც, რაც ჯერ კიდევ შეინიშნება მოსწავლეთა XXIV რესპუბლიკური და XII საკავშირო სპარტაკიადებისთვის მზადებაში.

რესპუბლიკის ზოგი რაიონის რამდენიმე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შიდასასკოლო შეჯიბრებები არ ჩატარებულა, ხოლო სკოლების უმრავლესობაში შიდასასკოლო შეჯიბრებები და სპარტაკიადები საზეიმოდ არ გამართულა. რაიონებისა და ქალაქების ბავშვთა და მოზარდთა სპორტულმა სკოლებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს რიგ სახეობებში (მძლეოსნობა, ცურვა, სპორტული ტანვარჯიში, ველოსპორტი და სხვ.) მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადება.

აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და „ცეკავშირის“ მიერ რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში ხარისხიანი სპორტული ინვენტარისა და სპორტული ფორმის შეზიდვის საქმეში, ამის გამო ქალაქების, რაიონებისა და რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდები უზრუნველყოფილი არ არიან მაღალხარისხოვანი სპორტული ინვენტარით. მსროლელთა ნაკრებ გუნდს არ ჰყოფნის თოფები და ტყვია-წამალი, ველოსიპედისტებს — ველოსიპედები.

ისიც ითქვა, რომ მოსწავლეთა ნაკრები გუნდების საერთო ფიზიკური და სპორტული მომზადება არადამაკმაყოფილებელია ტყვიის სროლაში, ხელბურთში (ჭაბუკები), ჭადრაკში, მძლეოსნობასა (გოგონები) და ცურვაში.

დღემდე დამთავრებული არ არის იმ სპორტსკოლების მშენებლობა (აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ქალაქები გორი და ქუთაისი, ყვარლისა და ორჯონიკიძის რაიონები), რომლებიც საექსპლოატაციოდ 1971-1972 სასწავლო წლისთვის უნდა გადაცემულიყო.

სოხუმის ნაკრები გუნდებისთვის სპორტული ფორმის შესაძენად და სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ჩასატარებლად საჭირო თანხები დღემდე არ გამოუყვიათ. დღემდე არ შესრულებულა, აგრეთვე, ზემდგომი ორგანოების დადგენილება სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების შტატში ფიზიკური აღზრდის ინსპექტორის თანამდებობის შეტანის შესახებ.

სამტრედიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს სხდომაზე არ განუხილავს რაიონული სპარტაკიადის მიმდინარეობის საკითხი, ხოლო ლენტეხის რაიონში ამ საკითხზე დიდი ხნის დაგვიანებით, 1972 წლის მარტში იმსჯელეს. რაიონული სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტს, რომელიც ასევე დაგვიანებით შექმნეს, მუშაობა დღემდე არ დაუწყია.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭო ნაკლებ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის მზადებას.

კომისიის მუშაობა შეაჯამა ამ კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა პ. გელბახიანმა. მოსწავლეთა XXIV რესპუბლიკური და XII საკავშირო სპარტაკიადებისთვის უკეთ მომზადების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივმა კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

### ლიდერობს კაჭარავა

მოჭადრაკე ქალთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში გაიმართა IV ტური.

ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იზეიმა შეჯიბრების ლიდერმა თ. კაჭარავამ. მან დაამარცხა ს. კალანდარიშვილი. ც. კახაბრიშვილმა სძლია დ. ქობალიას, მ. მამისთვალოვამ — ნ. ჩიქობავას. ნ. ბალაშვილ — ნ. ხუბულურის (ყველა — თბილისი) პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

4 ტურის შემდეგ კაჭარავას 4 ქულა აქვს. 2,5 ქულით II ადგილზეა ხუბულური. თბილისელ თ. ხუგაშვილს 2 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

### გუფელდი — VI ადგილზე

უძლიერეს მოჭადრაკეთა პირველ საკავშირო ელვისებურ ტურნირში, რომელიც ამას წინათ მოსკოვში გაიმართა, 17 დიდოსტატს შორის იყო თბილისელი ე. გუფელდიც. მან 18 ქულა მოაგროვა 32-დან, VI ადგილი დაიკავა და უკან მოიტოვა ელვისებური თამაშის ისეთი აღიარებული ოსტატები, როგორიც არიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი, დ. ბრონშტეინი, ლ. შტეინი და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




[illegible]

გუშინწინ შედგა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი.

„სპარტაკი“ — „დინამო“ (კიევი) 1:1.

მატჩი მიმდინარეობდა ატალახებულ, ნაწვიმარ მინდორზე. ანგარიში 36-ე წუთზე გახსნა მოსკოველმა პაპაევმა, ხოლო კიეველებმა დამარცხებას თავი დააღწიეს 44-ე წუთზე პუზაჩის მიერ თავური დარტყმით გატანილი საპასუხო ბურთის მეშვეობით. სპარტაკელებს ახლა საკავშირო ჩემპიონატში არდადეგები დაუდგათ: გუშინ ისინი ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ზაირის რესპუბლიკაში გაემგზავრნენ.

„ზენიტი“ — ცსკა 1:1.

მე-40 წუთზე დაწინაურდნენ სტუმრები — ტელინგერმა თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. 72-ე წუთზე არმიელთა მცველებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე უხეშად ითამაშეს ზინჩენკოს წინააღმდეგ და მსაჯმა მათს კარში დანიშნა პენალტი. იგი ზუსტად გამოიყენა ლენინგრადელთა კაპიტანმა სადირინმა — 1:1. წესრიგის დარღვევისთვის მინდვრიდან გაძევებულია ცსკა-ს მცველი ისტომინი.

### გუშინ

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და როსტოვის ასკ. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 4:1. ანგარიში გახსნა როსტოველმა ჩიბლაძემ, შერე კი თბილისელებმა ძოძუაშვილმა, გუცაევმა, გ. ნოდიამ და პეტრიაშვილმა წარმატება მოუტანეს თავიანთ გუნდს.

## მათი არდავიწყებისა იყოს!..

# გმირის უკვდავსაყოფად

9 მაისი, გამარჯვების დღე. განთავისუფლებულ მიწაზე მან დატოვა სიხარული, ადამიანთა მადლობით აღსავსე გულები. მაგრამ დარჩა ბევრი მარადი ხსოვნის მაუწყებელი ობელისკიც.

ერთ-ერთ ასეთ ობელისკზე ქალაქ ნიკოლაევთან 20 წლის ქართველი ჭაბუკის, ლეიტენანტ ვახტანგ ლექავას სახელია წარწერილი.

ვახტანგ ლექავამ თბილისის მე-8 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში დაიწყო სწავლა, მაგრამ ფაშისტური გერმანიის უეცარმა თავდასხმამ ხელი შეუშალა მის სპორტულ დაოსტატებას. ომმა ვახტანგი აიძულა ჩოგანი გადაედო და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩამდგარიყო.

ვახტანგ ლექავა ერთი იმ 137 გმირთაგანია, რომლებიც საქართველომ მისცა საბჭოთა კავშირს. ვახტანგს ისევე როგორც ბევრ სხვა საბჭოთა ჭაბუკსა და ქალიშვილს, შეეძლო სამშობლო შრომასა და სპორტშიც ესახელებინა.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორატის, სპორტული კლუბის, ფეხბურთის, ჩოგბურთის, ხელბურთისა და ბადმინტონის კათედრის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ერთ საინტერესო შეჯიბრებას: ამიერიდან ყოველი წლის 9 მაისს გაიმართება საბჭოთა კავშირის გმირ ვახტანგ ლექავას მემორიალი ჩოგბურთში.

პირველად მემორიალი წლეულს, 9-11 მაისს მოეწყო. შეჯიბრებაში 16-16 ქალი და ვაჟი მონაწილეობდა. ინსტიტუტის ჩოგბურთის კორტებზე გამართულ ამ საინტერესო შეჯიბრებაში ერევნელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

პირველი მემორიალის ლაურეატები გახდნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები. ქალთა ასპარეზობაში I ადგილი დაიკავა ო. პაპაიანმა, რომელმაც ფინალში ანგარიშით 2:0 დაამარცხა ვ. გოგუა.

ვაჟთა შეჯიბრების ფინალში ვ. პერეგუდოვმა სძლია გ. ახალაძეს.

ინსტიტუტის პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სპორტკლუბის მმართველობამ, ფეხბურთის, ჩოგბურთისა და ხელბურთის კათედრამ დიდი მუშაობა გასწიეს ამ ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარებისთვის.

**ჯ. ძაგანია,**
ფეხბურთის, ჩოგბურთისა და ხელბურთის კათედრის მასწავლებელი.

# ერთგულება

ერთგულება საქმისადმი, ერთგულება ოჯახისადმი, ერთგულება ნაცნობ-მეგობრებისადმი... პირველ ყოვლისა, ამით გამოირჩეოდა ერთი თავმდაბალი, მოკრძალებული კაცი — ილია დიდებულიძე.

მის ბიოგრაფიას სულ რამდენიმე აბზაცი დასჭირდება, მაგრამ რა საგულისხმოა ყოველი სტრიქონი, ყოველი ფაქტი, ყოველი სიტყვა. ის არ ეძებდა ამაო დიდებასა და სახელს. უბრალოდ, ცხოვრობდა, შრომობდა, იბრძოდა, უყვარდა...

მე არ ვიცნობდი ილია დიდებულიძეს, მაგრამ მისი უახლოესი მეგობრების ნაამბობმა ჩემს თვალწინ გადაშალა ერთი ფრიად საინტერესო კაცის ცხოვრება. ცხოვრება, რომელიც სპორტთან იყო დაკავშირებული. ერთხელ შალვა ელიაშვილმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის ლექტორმა, საუბარში დიდი სიყვარულით გაიხსენა უდროოდ დაღუპული მეგობარი, ბატონი შალვა ისეთი კაცი არ გახლავთ, რომ სიტყვას ქარს ატანდეს. იგი ერთობ თავშეკავებული და მკაცრიც კია ადამიანის შეფასებაში. თუ ვინმეზე თბილი სიტყვა თქვა, ეს უაღრესი პატივისცემისა და მოკრძალების გამოხატულებაა. სწორედ შალვა ელიაშვილთან საუბრის შემდეგ გადავწყვიტე აუცილებლად დამეწერა წერილი ადამიანზე, რომელსაც არ ვიცნობდი, მაგრამ რომელიც ახლა ესოდენ ახლობელია ჩემთვის.

— ილია და მე ომამდე ერთად ვსწავლობდით საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში. თითქოს არაფრით გამოირჩეოდა სხვა სტუდენტებისგან, მაგრამ ეს მისი თანდაყოლილი მოკრძალებით იყო გამოწვეული. ჩინებული ველოსიპედისტი გახლდათ, მაგრამ ერთხელაც ვერ გაიგონებდით მისგან — იმას მოვუგე, იქ გავიმარჯვე. დიდი შინაგანი კულტურა ჰქონდა: უყვარდა ხელოვნება, განსაკუთრებით, მუსიკა და ლიტერატურა. მერე და მერე, როცა უფრო დავუახლოვდი, ერთობ ჰარმონიულად, მრავალმხრივ განათლებულ ადამიანად მესახებოდა. უკვე მაშინვე იჩენდა სანაქებო ორგანიზაციულ ნიჭსა და უნარს. ვფიქრობდი, ამ კაცისგან საუცხოო პედაგოგი დადგება-მეთქი. აკი გამართლდა კიდეც ჩემი მოსაზრება. ოღონდაც ილიას ომმა შეუშალა ხელი, ომის დამთავრების შემდეგ კი სრულად გამოავლინა თავისი მკაფიო პედაგოგიური ნიჭი.

სამშობლოს პირველივე მოწოდებისთანავე მოხალისედ წავიდა ომში. იქიდან მძიმე ჭრილობით დაბრუნდა. თურმე ოცეული სატვირთო მანქანაში ყოფილა და მორიგი საბრძოლო ოპერაციისთვის ემზადებოდა. მანქანა უეცრად დაიძრა, ერთ-ერთმა ჯარისკაცმა თავი ვერ შეიმაგრა და ის-ის იყო უნდა გადავარდნილიყო, რომ ილიამ შეაშველა ხელი. ჯარისკაცი კი გადარჩა, მაგრამ თვითონ ილია ინერციით მანქანიდან გადავარდა, უხერხულად დაეცა და მძიმედ დაიშავა ხერხემალი. ასე დამთავრდა მისთვის ომი. არმიიდან დაბრუნებული თურმე ძალიან განიცდიდა, რომ ფრონტზე ველარ შეძლებდა წასვლას. ამ პატარა ამბავშიც კარგად ჩანს მისი კაცური კაცობა, ერთგულება და თვით თავგანწირვაც ადამიანებისთვის.

ომის დამთავრებას დაემთხვა ილია დიდებულიძის პედაგოგიური და სამწვრთნელო მოღვაწეობის დასაწყისიც. სწორედ ამ წლებში გაიცნო და დაუახლოვდა მას ქართველი სპორტის ერთ-ერთი თვალსაჩინო და ამაგდარი მოღვაწე გიორგი მერკვილაძე. ვფიქრობთ, პატივცემულ გიორგიზე უკეთ ვერავინ გვეტყვის, რა თავდადებულად და ერთგულად ემსახურებოდა საყვარელ საქმეს ილია დიდებულიძე.

— 1946 წელს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით თბილისის სახალხო განათლების განყოფილებასთან სპორტული სკოლა შეიქმნა. ამ სკოლაში ველოსიპედისტთა უფროს მწვრთნელად ილია დიდებულიძე დაინიშნა. მისვლისთანავე გამოიჩინა საოცარი შრომისმოყვარეობა, გულმოდგინება. იგი, როგორც იტყვიან, სულით ხორცამდე ერთგული იყო მისთვის მინდობილი საქმისა. ერთია, როცა მწვრთნელი ჩვეულებრივ, სამსახურით ნაკარნახევ მონდომებას იჩენს. სულ სხვაა, როცა საყვარელ საქმეში თავისი გულის ნაწილს დებს, არც ძალა, არც დრო არ ენანება მისთვის. პირდაპირ საკვირველი იყო, როგორ პოულობდა ეს თითქმის ხეიბარი კაცი ზღვა ენერგიას. ახლა ბევრს ლაპარაკობენ და წერენ მწვრთნელებზე, რომლებიც არ იფარგლებიან თავიანთი პროფესიული მოვალეობით, სპორტული დარბაზის გარეთაც ადევნებენ თვალყურს აღსაზრდელთა ცხოვრებას, ცდილობენ ფსიქოლოგიურად შეისწავლონ მათი ბუნება და ხასიათი, ერთი სიტყვით, იყვნენ უფროსი მეგობრები და მეორე მშობლებიც კი. უკვე მაშინ, ორმოციან წლებში, ილია დიდებულიძე ასეთი მწვრთნელის განსახიერებას წარმოადგენდა. ამიტომაც მისი ყოფილი აღსაზრდელები არა მარტო ჩინებული სპორტსმენები, არამედ ღირსეული მოქალაქეებიც არიან.

მახსოვს, რა ბავშვივით უხაროდა ამაგდარ მასწავლებელს თავისი მოწაფის ედუარდ ჯიმშელეიშვილის დიდი გამარჯვებები საკავშირო სარბიელზე. დიახ, სწორედ დიდებულაძის მიერ აღზრდილმა ამ ნიჭიერმა ველოსიპედისტმა აალაპარაკა ველოსპორტის სამყარო. როცა 1950 წელს საკავშირო რეკორდი დაამყარა 500 მეტრზე ადგილიდან რბოლაში.

... მე არ ვიცნობდი ილია დიდებულიძეს, მაგრამ მისი უახლოესი მეგობრების ნაამბობმა ჩემს თვალწინ გადაშალა ცხოვრება ერთი ფრიად საინტერესო კაცისა, რომელიც ამ ოციოდე წლის წინათ ტრაგიკულად დაიღუპა. როცა მათი მონაყოლ-ნაამბობი მოვისმინე, ძალაუნებურად გამახსენდა ერთი ცნობილი პოეტის სტრიქონები:

„ერთ დღეს წავიდა და გულის შიგნით
ჩაგვიდგა რაღაც ნაღველის მსგავსი...“

**ა. გოგელია.**



თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი კ. ასათიანი სეზონის დასაწყისში დაშავდა — მუხლის სახსრის გარეთა მენისკი დაუზიანდა. სპორტსმენი საექიმო ფიზკულტურის № 1 დისპანსერში მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატ ზ. თელიას მეთვალყურეობით მკურნალობდა. ორი კვირის შემდეგ კ. ასათიანი მწყობრში ჩადგა.

* * *

სურათზე: ექიმი ზ. თელია ამოწმებს მტკივანი მუხლის მდგომარეობას.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# ძირითადად მეორე შემადგენლობით

ამას წინათ თბილისელ მძლეოსნებს ოდესაში ადგილობრივ სპორტსმენებთან ჰქონდათ მატჩი. სტუმართა გუნდში არ იყვნენ სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები — სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. სანეევი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ი. დელა-როსა, სპორტის ოსტატი ა. მოშიაშვილი, რომლებიც ქვეყნის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად გადამწყვეტი სტარტებისთვის ემზადებიან, აგრეთვე, სპორტის ოსტატები ი. დიაჩკოვი, ლ. ტუშური, მ. ალიაკრინსკაია და ვ. ქუთათელაძე, რომლებიც კუბაში გაემგზავრნენ იქაურ მძლეოსნებთან სპასპარეზოდ. დედაქალაქის ნაკრებს აკლდნენ სხვებიც: სპორტის ოსტატები გ. გუდაშვილი, ი. ფხაკაძე, მ. კვანაველიძე... ამის გამო ოდესელებთან მატჩში უმეტესად საქართველოს მეორე ნაკრების წევრები გამოდიოდნენ და საერთო გუნდურ ჩათვლაში 44 ქულის სხვაობით დამარცხდნენ.

სამაგიეროდ, სტუმრებმა პირად ტურნირში რამდენიმე კარგი შედეგი მოიპოვეს: ვ. პოპოვმა, რომელსაც გ. კობიაშვილი ავარჯიშებს, 208 სმ სიმაღლე დაძლია, სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულა და გამარჯვებაც დაისაკუთრა. ამ სახეობაში II ადგილიც თბილისელ ბ. პრესნოვს ხვდა წილად — 205 სმ.

ბადროს მტყორცნელ ქალთა შეჯიბრებაში კვლავ კარგად გამოვიდა ნ. ლაბაძე (მწვრთნელი მ. ტუღუში). მან, მართალია, II ადგილი დაიკავა, მაგრამ 48,70 მეტრს მიაღწია და გოგონათა თავისივე რესპუბლიკური რეკორდი კიდევ 12 სანტიმეტრით გააუმჯობესა. ეს წლეულს ლაბაძის მესამე რეკორდია.

საინტერესო გამოდგა ვაჟთა შეჯიბრება 1500 მეტრზე რბენაში. თავიდან თბილისელი გ. სტარიჩკოვი დაწინაურდა და დიდხანს ლიდერობდა, მაგრამ ძალა თანაბრად ვერ გაანაწილა, ბოლო 200 მეტრში მონაპოვარი დათმო და III ადგილს დასჯერდა — 3.53,7. თანაგუნდელმა გ. შოშიაშვილმა მას 0,1 წამი მოუგო და II ადგილზე გავიდა.

სამაგიეროდ, შოშიაშვილმა 800 მეტრზე რბენაში იმარჯვა — 1.53,6.

I ადგილები დაიკავეს, აგრეთვე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ლ. იევლევამ (100 მეტრზე თარჯრბენში — 14,1), სპორტის ოსტატებმა მ. ოყროშიძემ (ბირთვის კვრაში — 16, 84), ა. ანდრეევმა (400 მეტრზე რბენაში — 49,1), ა. პავლოვმა (10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში — 46.04,0), ვაჟთა კვარტეტმა (4×100 მეტრზე ესტაფეტაში — 42,1).

ნ. ზვიადაურს შუბის ტყორცნაში II ადგილი ხვდა და პირადი რეკორდიც (70,12) დაამყარა, თამარ ლოლაძემ კი 200 მეტრზე რბენაში პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა — 25,8.

**ო. ივდოშვილი.**

# ოქროსა და ვერცხლის ნიშნოსნები

ქარელის რაიონის 25 სასკოლო კოლექტივის 600 მოსწავლე მონაწილეობდა მძლეოსნურ ოთხჭიდში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში.

10-11 წლის ნორჩები ერთმანეთს 30 მეტრზე რბენაში, ჩოგბურთის ბურთის ტყორცნაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში ეცილებოდნენ პირველობას. გამარჯვებული გამოვიდნენ მზია გათაშვილი და ვ. ცაბაძე (ორივე — აგარის საშუალო სკოლა).

12-13 წლის ჭაბუკთა შორის პირველობა არავის დაუთმო გ. მარქარიანმა (ქარელის მე-2 საშუალო სკოლა). გოგონათა შორის გამარჯვებულმა, 12 წლის აგარელმა ნელი გრიგალაშვილმა სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში მესამე თანრიგის ნორმატივები შეასრულა. ოთხჭიდშიც მანვე გაიმარჯვა. ამ ასაკში კარგ შედეგებს მიაღწია ნელის თანაგუნდელმა, V კლასის მოსწავლე ლიანა ფანჯაკიძემაც.

14-15 წლის ჭაბუკთა ასპარეზობაში საუკეთესო იყო გ. დეკანოსიძე (ქარელის მე-2 საშუალო სკოლა), გოგონათა შორის კი ქვენატკოცის რვაწლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლე რუსუდან დახოვსკაია.

16-18-წლისანი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 100 მეტრზე რბენაში, ბირთვის კვრაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში. გოგონათა შორის გაიმარჯვა მაყვალა ლონლაძემ (ქარელის მე-2 სკოლა), ჭაბუკებში — აგარელმა ფ. კლიმჩუკმა.

შეჯიბრების მონაწილეებმა ოქროს ნიშანზე 525 ნორმატივი შეასრულეს, ხოლო ვერცხლზე — 527.

**გ. ლურსმანაშვილი.**

ქარელი.

# რვა ჩემპიონი და გუნდური გამარჯვება

ქალაქის საჭიდაო დარბაზში სამ დღეს გაგრძელდა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სამბისტთა რესპუბლიკური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების, სამხრეთ ოსეთის, თელავის, თბილისის, ბათუმისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტების გუნდები.

წარმატებით იასპარეზეს მასპინძლებმა — გორის პედინსტიტუტის სამბისტებმა (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. პაპიტაშვილი). მათ დამსახურებულად დაიკავეს I ადგილი. II ადგილზე გავიდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჭიდაოსნები, III — უნივერსიტეტელები.

როცა გორელთა წარმატებაზე ვლაპარაკობთ, ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ პირად ჩათვლაში 10 წონიდან 8 I ადგილი სწორედ მათ დაისაკუთრეს. გამარჯვებული გუნდი მაისის მეორე ნახევარში მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ტურნირის ფინალში (მინსკი).

ახლა კი გთავაზობთ გამარჯვებულთა გვარებს წონითი კატეგორიების მიხედვით: შ. მელაძე (გორი), გ. ბეინაშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ჯ. ხორბალაძე, შ. შაქარაშვილი, ზ. ბეთლემიძე (ყველა — გორი), თ. გავაშელიშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ჯ. ნინოშვილი, ნ. კულუმბეგაშვილი, ნ. ექვთიმიშვილი, გ. თანდილოვი (ყველა — გორი).

**ი. თევდორაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

გორი.

# თბილისელთა დებიუტი „სპორტლოტოში"

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში უამრავი წერილი შემოდის, რომელთა ავტორებსაც სპორტული ლატარიის ამბავი აინტერესებთ.

დღეს შევეცდებით პასუხი გავცეთ მათს რამდენიმე შეკითხვას.

ბევრს აინტერესებს შედეგები მე-13 ტირაჟისა, რომელშიც თბილისელები პირველად მონაწილეობდნენ. ეს ტირაჟი 10 მაისს მოეწყო დონეცკში.

თბილისელთა დებიუტი წარმატებით დაგვირგვინდა: სამ ბარათზე ხუთ-ხუთი ნომერია (სპორტის სახეობა) ამოცნობილი. მფლობელთაგან თითოეული 2744 მანეთს მიიღებს.

იმ 138 ბარათის მფლობელებს, რომლებზეც ოთხ-ოთხი ნომერი დაემთხვა, 61-61 მანეთს გადაუხდიან. 2677 ბარათზე სამ-სამი სახეობაა ამოცნობილი. მათი მფლობელნი 5-5 მანეთს მიიღებენ.

მოგება ნაღდდება შემნახველ სალაროებში ტირაჟიდან ათი დღის შემდეგ (30 დღის განმავლობაში). მაგალითად, 21 მაისიდან 20 ივნისამდე მე-13 ტირაჟის იღბლიანი ბილეთების პატრონებმა მოგება შეიძლება მიიღონ შემდეგ შემნახველ სალაროებში: იმ ბარათებით, რომლებზეც სამი და ოთხი ნომერი ემთხვევა — № 3522 (ოქტომბრის ქ. № 105), № 068 (ცენტროლიტის დასახლება), № 088 (მაგნიტოგორსკის ქ. № 1), № 3529 (პლეხანოვის პრ. № 154), № 033 (ჩელიუსკინელების ქ. № 30), № 0228 (წერეთლის პრ. № 69), № 3523 (პლეხანოვის პრ. № 90), № 048 (ხეთაგუროვის ქ. № 4), № 017 (საბჭოს ქ. № 95), № 019 (რუსთაველის პრ. № 12), № 0218 (დავითაშვილის ქ. № 11), № 0241 (ლენინის ქ. № 17), № 3528 (ლესელიძის ქ. № 4), № 0101 (გორგასლის ქ. № 39), № 072 (ლესელიძის ქ. № 40), № 3520 (ვაჟა-ფშაველას პრ. № 21,) № 071 (ჭავჭავაძის პრ. № 27), № 0159 (ვაჟა-ფშაველას პრ., მე-2 კვ. № 55), № 3524 (შაუმიანის ქ № 10), № 0234 (მოსკოვის პრ., მე-4 კვ. მე-2 კორპ.), № 0242 (ვარკეთილის მასივი, კახეთის გზატკეცილი, 1-ლი კვ., „ა" კორპ.); იმ ბარათებით, რომლებზეც 5 ნომერი დაემთხვა — № 3529 (პლეხანოვის პრ. № 154), № 3523 (პლეხანოვის პრ., № 90), № 3528 (ლესელიძის ქ. № 4), № 3530 (ვაჟა-ფშაველას პრ., № 21). „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს (ელიავას ქ. № 26) სპეციალური დავალებით.

სამწუხაროდ, ეს პირველი ტირაჟი თბილისელთა მონაწილეობით შეცდომებისგან დაზღვეული არ იყო, თუმცა პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ სარეკლამო პლაკატებით და ფურცლებით დაწვრილებით განმარტეს თამაშის წესები.

ამიტომ გვინდა სპორტული ლატარიის ყველა მონაწილეს კიდევ ერთხელ ვთხოვოთ ბარათების შევსებისას მეტი ყურადღების გამოჩენა. თამაშის პირობები რთული როდია. მოთამაშემ მელნით ან ბურთულიანი კალმით (ფანქრით არ შეიძლება) ნიშნით X უნდა გადახაზოს ექვსი ერთი და იგივე ნომერი (ანუ სპორტის სახეობა) ბარათის სამივე ნაწილში. „ა" ნაწილი ბარათის პატრონმა თვითონ უნდა დაიტოვოს, „ბ" და „გ" ნაწილები კი „სპორტლოტოს" სპეციალურ ყუთში ჩაუშვას არა უგვიანეს იმ ვადისა, რომელიც ყუთზე იქნება აღნიშნული (ყოველი თვის 8, 18, 28 რიცხვში 18 საათამდე).

„სპორტლოტოს" ზონალურ სამმართველოში შემოსულ ბარათებში შეინიშნებოდა რამდენიმე დამახასიათებელი შეცდომა.

● „ა" ნაწილში გადახაზულია 6 ნომერი (სპორტის სახეობა), „ბ" და „გ" ნაწილები კი საერთოდ შეუვსებელია;

● „ა", „ბ" და „გ" ნაწილებში გადახაზული ნომრები ერთმანეთს არ ემთხვევა;

● ყუთში ჩაუშვიათ „ა" ნაწილი, „ბ" და „გ" ნაწილები კი თვითონ დაუტოვებიათ;

● გადახაზულია ექვსზე მეტი ნომერი;

● ბარათებს რაღაც წარწერები აქვს, ნომრები გადაშლილი და გასწორებულია;

● ბარათები ფანქრითაა შევსებული;

● ყუთში ცალ-ცალკეა ჩაშვებული „ბ" და „გ" ნაწილები, ბარათები ჯერ გახეულია, შემდეგ დაწებებული;

● ბარათები ზოგს საფოსტო ყუთში ჩაუშვია.

იმედია, შემდგომი ტირაჟებისთვის (უახლოესი ტირაჟი 20 მაისს დნეპროპეტროვსკში მოეწყობა) ეს შეცდომები აღარ გამეორდება.

წარმატებას ვუსურვებთ სპორტული ლატარიის ყველა მონაწილეს.

ვ. ზარდიაშვილი,
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი.

სტუმრების მოლოდინში ლამაზად ირთვება მომავალი ოლიმპიადის ქალაქი მიუნხენი. ამჟამად ქალაქის რამდენიმე ცენტრალურ ქუჩაზე ტრანსპორტის მოძრაობა შეწყვეტილია. აქ ახლა დასვენების ზონაა ფეხით მოსიარულეებისთვის.

კეისტონ—საკლესის ფოტო.



**სტუმრების მოლოდინში**

**ობიექტივში მსოფლიო**

**შეჯახება... მსაჯთან**



ამერიკის კალათბურთის ასოციაციის მსაჯს ნ. დრაკერს (მარჯვნივ) ერთ-ერთ მატჩში საკმაოდ ღონივრად დაეჯახა „ნიუ-იორკ ნეტსის" მოთამაშე ჩუე კონგდონი (მარცხნივ), რომლის გუნდმა ვირჯინიის კალათბურთელებთან შეხვედრა წააგო ანგარიშით 114:118. მსაჯი პირდაპირ მაყურებლებში გადავარდა და ახლა ადგომას ცდილობს.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

## [illegible]-72

● **პრაღა, 15 მაისი.** კიეველმა მოტოკროსმენმა ვ. კავინოვმა ყველას აჯობა „250-ანების" კლასში მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე ეტაპზე. II ადგილზე გავიდა ბელგიელი ჟ. რობერი, რომელიც 4 ეტაპის ჯამში ლიდერობას ინარჩუნებს (42 ქულა). კიეველ ა. კიბირინს 28 ქულით ჯერჯერობით III ადგილი უკავია.

● **როსტოკი, 15 მაისი.** კოშკიდან ხტომაში ევროპის ჩემპიონმა ლოტარ მათესმა (გდრ) ერთწლიანი „შესვენების" შემდეგ კვლავ მიაშურა თავის საყვარელ იარაღს და გაიმარჯვა აქ გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელსაც „მხტომელის დღე" ეწოდება. მან 441,50 ქულა მოაგროვა. II და III ადგილებზეც მათესის თანამემამულეები გავიდნენ: პეტერ ტრაუბე (438,70) და ვერნერ რაუ (420,45). ტრამპლინიდან ხტომაშიც გდრ-ის წარმომადგენლებმა დაიკავეს პირველი ორი საპრიზო ადგილი. ესენი არიან ჰოლგე ციტენი (501,95) და ვოლფრამ რისტაუ (442,05). III ადგილზე გავიდა რუმინელი იონ განეო — 427,85. ქალთა შორის საპრიზო სამეულები ასე გამოიყურება: ტრამპლინი — 1. მარინა იანიკე (436,20), 2. კრისტინა კელერი (419,10), 3. ჰაიდი გენსებურგი (სამივე — გდრ) — 416,85; კოშკი — 1. იანიკე (348,75), 2. ულრიკა კნაპე (შვეცია) — 338,10, 3. უტა ლეოპოლდი (გდრ) — 321,95. ტრამპლინიდან ხტომაში ევროპის ჩემპიონმა ჰაიდი ბეკერმა (გდრ) ამ იარაღზე მხოლოდ IV ადგილი დაიკავა — 405,15. შეჯიბრებაში 13 ქვეყნის 50 სპორტსმენი მონაწილეობდა.

● **მოსკოვი, 15 მაისი.** ლუჟნიკის ხარბიელზე ადგილობრივ მძლეოსანთა შეჯიბრებაში 23 წლის ვ. აბრამოვმა 221 სმ სიმაღლე გადალახა. ეს შედეგი ჯერჯერობით საუკეთესოა წლეულს მსოფლიოს სტადიონებზე. ქარხანა „სერპ ი მოლოტის" ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის მასწავლებელი ფოსბიურის ყაიდით ხტება. სსრ კავშირის ნაკრებმა (ლ. ჟარკოვა, გ. ბუხარინა, მ. სიდოროვა, ლ. გორკავაია) 4×100 მეტრზე ესტაფეტა 45,5 წამში გაირბინა, რაც წლეულს ყველაზე „სწრაფი" დროა საბჭოთა კავშირში.

● **ბუქარესტი, 15 მაისი.** სწრაფად მზარდი რუმინელი მტყორცნელი ქალი, 24 წლის ა. მენისი მძლეოსნობის ისტორიაში მეორეა, ვინც ბადრო 64-მეტრიან ზღვარს გადააცილა. აქ გამართულ შეჯიბრებაში მან თავისი ქვეყნის რეკორდი 64,24 მეტრამდე აიყვანა (საუკეთესო შედეგი წლეულს მსოფლიოში). კ. პოპესკუმ სიმაღლეზე ხტომაში წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგი გაიმეორა — 182 სმ. რუმინეთის რეკორდები დაამყარეს: ვ. ბუფანუმ (100 მ — 11,4), ნ. პერჩამ (110 მ თარჯრბენი — 13,7), ნატალია ანდრეიმ — (1500 მ — 4.18,3), ვალენტინა ჩოლტანმა (ბირთვი — 17,65 მ).

● **პარიზი, 15 მაისი.** აქ გამართულ შეჯიბრებაში მალის რესპუბლიკის წარმომადგენელმა ნამაკარო ნიარემ აფრიკის რეკორდი დაამყარა ბადროს ტყორცნაში — 62,48 მ.

● **სოფია, 15 მაისი.** მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში მსაჯებმა ბულგარეთის სამი რეკორდი აღნუსხეს: ი. ხრისტოვამ პირველად ჰკრა ბირთვი 19 მეტრს იქით — 19,14 მ (ხრისტოვამდე მსოფლიოში ამ ზღვარს სულ ოთხმა სპორტსმენმა ქალმა გადააცილა). ხრისტოვას შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში. რეკორდსმენი გახდა ვ. სტოევაც, რომელიც პირველი ბულგარელი ბადროს მტყორცნელი ქალია, ვინც 60-მეტრიანი ზღვარი უკან მოიტოვა. სტოევას შედეგია 60,84 მ. ასევე პირველი ბულგარელი უროს მტყორცნელი გახდა ტ. მანოლოვი, ვინც 70 მეტრს იქით გაგზავნა ეს იარაღი — 70,16 მ.

● **ფრესნო, 15 მაისი.** კალიფორნიის ამ ქალაქში სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის მორბენლებმა 4×220 იარდზე ესტაფეტაში მსოფლიო რეკორდზე უკეთესი დრო (1.20,7) აჩვენეს, მაგრამ სამ ამერიკელთან ერთად ესტაფეტაში იამაიკელი დ. ქვორიც მონაწილეობდა, რის გამოც ეს მიღწევა მსოფლიო რეკორდად არ აღინუსხება. ამერიკელი ა. რობინსონი უქარო ამინდში 814 სმ სიგრძეზე გადახტა, რაც საუკეთესო შედეგია წლეულს მსოფლიოში. ო. ფოიერბახმა (აშშ) 21,03 მეტრზე ჰკრა ბირთვი.

● **ფილადელფია, 15 მაისი.** „მარტინ ლუთერ კინგის მემორიალში" მოასპარეზე ზანგმა მორბენალმა ქალმა, 800 მეტრზე რბენაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. მანინგ-ჯექსონმა 880-იარდიან დისტანციაზე მსოფლიო რეკორდი გაიმეორა — 2.02,0. მასზე სწრაფად ეს მანძილი მხოლოდ ავსტრალიელებს დ. უილისსა და ჯ. პოლოკს გაურბენიათ. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბ. სიგრენმა (აშშ) ცდებით აჯობა ჭოკით ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენს, შვედ ჩ. იზაქსონს. მათ 534 სმ დაძლიეს. კენიელმა ჯ. სანგმა 440 იარდი 45,6 წამში გაირბინა (45,2 — 400 მეტრზე).

ფეხბურთი

**II ლიგა III ზონა**

15 მაისს გაიმართა საკავშირო პირველობის მორიგი მატჩები: „გურია" (ლანჩხუთი) — „კოლხეთი" (ფოთი) 2:3, „დინამო" (ბრიანსკი) — „დინამო" (ბათუმი) 1:1, „ზვეზდა" (ტირასპოლი) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 4:0, „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) — „დილა" (გორი) 2:0, „სპარტაკი" (ორიოლი) — „ტრუდი" (ვორონეჟი) 1:3, „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) — „შრომითი რეზერვები" (კურსკი) 0:0, „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) — „სალუტი" (ბელგოროდი) 0:0.

## ქულები „გაძვირდა"

წლევანდელი სეზონიდან ძალაში შევიდა მძლეოსნურ ხუთჭიდში შედეგების შეფასების ახალი სისტემა, რომლის მიხედვითაც მაჩვენებლები ყველა სახეობაში საგრძნობლად „გაძვირდა". თუ უწინდელი ცხრილის მიხედვით, მაგალითად, 100 მეტრზე თარჯრბენში სპორტსმენი 1000 ქულას დისტანციის 14,3 წამში გარბენისთვის ღებულობდა, ახლა საამისოდ ეს მანძილი 13 წამში უნდა დაფაროს, უწინ 200 მეტრზე რბენაში ამდენივე ქულის მოსახვეჭად 24,3 წამი კმაროდა, ახლა კი 23,1 წამია საჭირო.

ყოველივე ზემოთქმული უფრო ნათელი გახდება, ბ. პოლაკის (გდრ) მსოფლიო რეკორდს (5406 ქულა) ახალი ცხრილით თუ შევაფასებთ. ამ ცხრილით პოლაკი მხოლოდ 4775 ქულას აგროვებს.

შედარებისთვის გთავაზობთ ახალ და ძველ ცხრილებს.

**ძველი ცხრილით**

| ქულა | 100 მეტრზე თარჯრბენი | ბირთვი | სიმაღლეზე ხტომა | სიგრძეზე ხტომა | 200 მ |
|---|---|---|---|---|---|
| 900 | 15,1 | 12,67 | 156 | 561 | 25,4 |
| 1000 | 14,3 | 14,23 | 165 | 605 | 24,3 |
| 1100 | 13,6 | 15,89 | 176 | 650 | 23,3 |

**ახალი ცხრილით**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 800 | 14,5 | 13,34 | 157 | 553 | 25,5 |
| 900 | 13,7 | 15,09 | 166 | 597 | 24,4 |
| 1000 | 13,0 | 16,95 | 177 | 644 | 23,1 |

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 04527